

κατά წინდებულის ეკვივალენტები ფსალმუნთა წიგნის კველ ქართულ რეცენზიებში

თარგმანის პროცესი საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, როცა არ არსებობს თარგმანის პრინციპები და მთარგმნელებს სპონტანურად უწევთ მათი შემუშავება, ეკვივალენტების მოძიება და შემდეგ მათგან ერთ-ერთის არჩევა. კიდევ უფრო რთულია იმ ელემენტების გადმოტანა, რომლებიც მიმღები ენისთვის უცხოა. ამ დროს ხდება ენაში დაუნჯებული პოტენციის ამოქმედება. შედეგი სხვადასხვაგვარია: ზოგჯერ უცხო ენის მოდელის მიხედვით შექმნილი ელემენტები მიმღები ენის „ნებად ბუნებითად“ იქცევა, ზოგჯერ კი ამგვარი ენობრივი ფორმები რომელიმე კონკრეტული ტექსტის ფარგლებს არ სცილდება.

ენის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თანდებულთა სისტემის ჩამოყალიბებას. ამ პროცესზე თარგმანის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ამ დებულების მართებულობა *κατά* წინდებულის მაგალითზე შევამოწმოთ. ჩვენი არჩევანი განაპირობა იმან, რომ ეს წინდებული პოლისემანტურია, ძალზე პროდუქტიულია ბერძნულში, მისი გადმოტანა თარგმანში სემანტიკურ და ფორმალურ ძიებებთანაა დაკავშირებული. ძიება დღესაც არ დასრულებულა – ამ წინდებულის ზოგიერთი მნიშვნელობის შესატყვისი ერთეული ქართულში ახლაც არ გვაქვს.

κατά წინდებულის გადმოცემა შევისწავლეთ *ფსალმუნის* ქართული თარგმანის მცხეთური, სინური და გიორგისეული რეცენზიების მთელი ტექსტის მიხედვით. დავადგინეთ ჩვენთვის საინტერესო წინდებულის შესატყვისები და ბერძნული დედნის გათვალისწინებით განვსაზღვრეთ მათი მნიშვნელობები. გარდა ამისა, წინდებულის გადმოტანაზე დაკვირვებით შევეცადეთ, განგვესაზღვრა გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების სტილი.

ფსალმუნთა წიგნში κατά წინდებული საკმაოდ პროდუქტიულია, იხმარება აკუზატივთან (უფრო ხშირად) და გენეტივთან (იშვიათია). იგი ქმნის ფრაზეოლოგიზმებსაც (ცხრილი № 1 და 2).

ფსალმუნთა წიგნის ქართულ რეცენზიებში დადასტურებული *κατά* წინდებულის მნიშვნელობები და ეკვივალენტებია (ცხრილი № 3)¹:

1) ვინმეს წინააღმდეგ, საზიანოდ რაიმეს თქმა ან გაკეთება (16), ყველაზე ხშირად გადმოიცემა *-თჳს* თანდებულთა, გამოიყენება აგრეთვე *ზედა* და *-დამო* (*//-დამი*) თანდებულები, სამჯერ მთარგმნელ-რეცენზენტები მიმართავენ თავისუ-

¹ მნიშვნელობების გამოყოფისას და დალაგებისას ვისარგებლეთ შემდეგი ლექსიკონებით: Lampe G.W.H., A Patristic Greek Lexicon, Oxford, 1961 და Liddell H.G. and Scott R., Greek-English Lexicon, Oxford, 1996.

ფალ თარგმანსაც, თანდებულის შინაარსი კი კომპენსირებულია ზმნის სემანტიკით, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სწორედ ზმნის სემანტიკა განაპირობებს თანდებულის გამოტოვებას (იხ. მე-4, მე-5 და მე-6 მაგალითები). მაგ., 1) 108.2 *ἐλάλησαν κατ' ἑμὸν γλῶσση δολίᾳ*] იტყოდეს *ჩემთვის* ბავითა (ენითა Ἦ) ზაკულითა ረፂፂ; 2) 40.9 *λόγον παράνομον κατέθεντο κατ' ἑμὸν*] სიტყუაჲ უს(შፂ)ჯულოებისაჲ დამდევს *ჩემ ზედა* ረፂፂ; 3) 40.8 *κατ' ἑμὸν ἐλογίζοντο κακά μοι*] და (> ሮ) *ჩემდამო (ჩემთვის ሮ)* ზრახვიდეს ბოროტსა ረፂፂ;P4) 108.20 *καὶ τῶν λαλοῦντων πονηρὰ κατὰ τῆς ψυχῆς μου*] და რომელნი იტყოდეს ძვრსა *სულისა ჩემისასა* ረፂፂ; 5) 108.5 *καὶ ἔθεντο κατ' ἑμὸν κακὰ ἀντὶ ἀγαθῶν*] მომაგეს მე ბოროტი კეთილისა წილ ረፂፂ; 6) 31.5 *ἐξαγορεύσω κατ' ἑμὸν τὴν ἀνομίαν μου τῷ κυρίῳ*] *უთხრა (აღუვარო ሮ)* ბრალი *ჩემი* უფალსა ረፂፂ.

2) ფიცის დადება ვინმეს მიმართ, ამის მხოლოდ ერთი მაგალითი გვხვდება და *κατὰ* წინდებულს -*დამო(//-დამი)* თანდებული შეესაბამება: 1) 101.9 *καὶ οἱ ἐπαινοῦντές με κατ' ἑμὸν ἄμυσον*] და მატებელნი ჩემნი *ჩემდამო* ფუცვიდეს ረፂፂ;

3) *κατὰ* წინდებული ხშირადაა გამოყენებული დროსთან დაკავშირებულ კონსტრუქციებში და გამოხატავს: ა) მოქმედების დროს (მაგ., 138.9 *ἂν ἀναλάβοιμι τὰς πέρσυχάς μου κατ' ὄρθρον*] ალ-თუ-ვიპყრნე ველნი (ფრთენი ሮ) ჩემნი *ვანთიად* ረፂፂ.) ან ბ) დროს, როცა მოქმედება დაიწყო (მაგ., 118.152 *κατ' ἀρχὰς ἔγνων ἐκ τῶν μαρτυρίων σου*] დასაბამითგან ვიცნოდე მე წამებანნი შენნი ረፂ; დასაბამითგან ვცან მე წამებათგან შენთა ሮ.), გ) გამოყოფს დროის თანაბარ პერიოდებს (მაგ., 67.20 *εὐλογητὸς κύριος ἡμέραν καθ' ἡμέραν*] კურთხეულ არს დღერთი დღითი-დღედ (დღითი-დღე ፂፂ) ረፂፂ.) და ა.შ.

4) აღნიშნავს მოქმედების დაწყების ადგილს (მაგ., 67. 34 *τῷ ἐπιβεβηκότι ἐπὶ τὸν οὐρανὸν τοῦ οὐρανοῦ κατὰ ἀνατολάς*] რომელ-იგი (რომელი-იგი ሮ) ამაღლდა ცასა ცათასა *აღმოსავალით* ረፂፂ).

5) მოქმედების მიზეზს (მაგ., 9.25 *κατὰ τὸ πλῆθος τῆς ὀργῆς αὐτῶν οὐκ ἐκζητήσῃ*] მრავლითა გულისწყრომითა მისითა არა გამოიძია (გამოიძოის ሮ) იგი ረፂፂ).

6) *κατὰ* წინდებული კარგ მასალას იძლევა დაკვირვებისთვის, როცა გამოხატავს შესაბამისად შინაარსს. უჩა ცინდელიანმა მეფეთა წიგნების ქართული თარგმანების მაგალითზე გაარკვია, რომ ამ წინდებულის თარგმნის პროცესში სამი ქრონოლოგიურ-სტილისტური ეტაპი გამოიყოფა:

1) **Ø**, ვითარცა, -ითა; იშვიათად: **ეგრე, ეგრეთვე, ეგევითარი.**

2) **მსგავსად.**

3) **-ებრ.**

ამ სამი ჯგუფიდან მეფეთა III და IV წიგნებში შეიძლება ითქვას, მხოლოდ II და III გვაქვს (I ძალიან იშვიათია და ნაშთის სახით ვლინდება, ძირითადად კონტამინირებულ მაგალითებში). უჩა ცინდელიანის სტატიაში ნაჩვენებია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სტილისტური კრიტერიუმის გამოყენება ბიბლიის თარგმნა-რეცენზირებასთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას. მეფე-

თა III და IV წიგნებში გამოიყო არა მხოლოდ ორი სტილისტურად განსხვავებული ტექსტი (პირობითად, „**მსგავსად სტილი**“ და „**-ებრ სტილი**“), არამედ დადგინდა, რომ სხვადასხვა სტილისტური ჯგუფი სხვადასხვა უცხოენოვან წყაროსთანაა დაკავშირებული და სხვადასხვა ქრონოლოგიურ ეტაპს გვიჩვენებს: „**მსგავსად სტილის**“ ტექსტი უფრო არქაულია, ვიდრე „**-ებრ სტილისა**“, **ჰეგზაპლური** ტრადიციის ტექსტს შეიცავს და **სომხურთანაა** ახლოს, ხოლო **-ებრ სტილისტური** ფენა **ლუკიანური** რეცენზიის ტექსტია და აშკარად **ბერძუნულს** უკავშირდება. უნდა აღინიშნოს, რომ **მსგავსად** ეკვივალენტი უფრო მყარია, ხოლო **ებრ სტილისტური** ფენა მეტ სიჭრელეს გვიჩვენებს, არა მხოლოდ მეფეთა III და IV წიგნებში, არამედ სახარების ტექსტშიც. I ჯგუფის ეკვივალენტები თარგმნა-რეცენზირების იმ საფეხურს უნდა ასახავდეს, როცა ენა ებებს **κατα** წინდებულის ოპტიმალურ შესატყვისს და ეკვივალენტთა სიჭრელეც ამითაა განპირობებული. ეს სტილისტური ფენა უფრო არქაულია **მსგავსად** და **-ებრ** სტილისტურ ფენებთან შედარებით (უჩა ცინდელიანი 1967:171-183).

ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ **κατα** წინდებულის ეკვივალენტები *ფსალმუნთა წიგნის* ძველ ქართულ ვერსიებში. როგორც ცნობილია, *ფსალმუნთა წიგნის* მცხეთური და სინური რეცენზიები უფრო ძველია, ყველაზე ბოლოს კი *ფსალმუნის* ტექსტი გიორგი მთაწმინდელმა ჩაასწორა. ამ რეცენზიათა მიხედვით ეკვივალენტები ასე განაწილდა:

LXX	ქართული ეკვივალენტები	ⴒ (მცხეთური)	ⴑ (სინური)	ⴓ (გიორგი)	სულ
κατα	ზედა	1	1	1	47
	-გან (ნათ.-თან)	1	1	0	
	-თქს	0	0	1	
	-ებრ	4	4	24	
	-ითა	33	34	17	
	მსგავს	1	1	1	
	∅	3	3	0	
	რავდენ (რაოდენ)	2	2	2	
	ვითარცა	1	1	1	

როგორც ვხედავთ, *ფსალმუნის* ტექსტი ორ სტილისტურ-ქრონოლოგიურ ჯგუფად დაიყო. I ჯგუფს (ყველაზე არქაულს) განეკუთვნება სინური და მცხეთური, ხოლო II-ს (ყველაზე გვიანდელ „**-ებრ სტილის**“ ფენას) – გიორგისეული. **მსგავსად სტილისტური** ეტაპი *ფსალმუნებში* არ გვაქვს. I ეტაპზე **κατα** წინდებულის ძირითადი ეკვივალენტი არის მოქმედებითი ბრუნვა. თარგმნა-რეცენზირების ამავე ეტაპზე გამოყენებულია **მსგავსად** და **-ებრ** ეკვივალენტებიც, რაც მიუთითებს მათი, როგორც ენობრივი მოვლენის, არქაულობაზე, რომელიმე მათგანის დომინირება კი გვიჩვენებს არა სამწერლობო ენაში მომხდარ ცვლილებას,

არამედ მთარგმნელ-რეცენზენტის სტილს. **κατά** წინდებულის გადმოტანის მაგალითზე ქართული თარგმანის ტექნიკაში მომხდარი ცვლილებაც ჩანს: დედანი აისახოს არა მხოლოდ აზრობრივად, არამედ ფორმალურადაც, ამიტომ გვიანდელი ხანის მოღვაწენი მოქმედებითი ბრუნვის ფორმას, რომელიც, როგორც ჩანს, ძალიან მყარი და ზუსტი ეკვივალენტია, თანდებულიანი კონსტრუქციებით ანაცვლებენ.

საყურადღებოა **κατά** წინდებულთ შუამნიშნული **ფრაზეოლოგიზმებიც**:

ა) **κατά πρόσωπον** – ებრაიზმია, აღნიშნავს წინაშეობას, *ფსალმუნთა წიგნში* სულ ოთხჯერ გვხვდება. ეს ფრაზეოლოგიური წინდებული შედგება თანდებულისა და სრულმნიშვნელობიანი სიტყვისაგან – **პირი**, ებრაულში ამ სიტყვას დაკარგული აქვს ამოსავალი მნიშვნელობა და შესაბამის ფრაზეოლოგიურ წინდებულში ის ცალკე ელემენტად არ აღიქმება. რაც შეეხება ბერძნულსა და ქართულს, ამ ენებში ეს შესიტყვება მაინც არ არის სემანტიკურად დაუშლელი, მისი ბუნებრივი ეკვივალენტი მარტივი თანდებული იქნებოდა, მაგრამ ლიტერატურული თარგმანის პრინციპიდან გამომდინარე მაინც ახდენენ მის სეგმენტაციას თარგმნისას (მაგ., 82.14 *ἀνὰ κατὰ πρόσωπον ἀνέμου*] ვითარცა ლერწამნი **წინაშე ქარსა** 7.; ვითარცა ლერწამი **წინაშე პირსა ქარისასა** 7.), თუმცა გიორგი მთაწმინდელი ამ შემთხვევაშიც უფრო თანმიმდევრულად (მაგრამ არა ყოველთვის) ახორციელებს ლიტერატურული თარგმანის პრინციპს, ზოლო ძველი რეცენზიები „თავისუფლად“ თარგმნიან (ცხრილი № 1b, 2b, 3a).

ბ) **κατά μόνας** – *განმარტობულს, განმხოლოებულს, ერთადერთს* აღნიშნავს, *ფსალმუნთა წიგნში* გვხვდება სამჯერ. ქართულში გადმოღის ერთი შესატყვისით – **მხოლოდ** სხვადასხვა ბრუნვის ფორმით (მაგ., 4.9 *ὅτι σὺ κύριε κατά μόνας ἐπ’ ἐπίδω κατὰκισὰς με]* რამეთუ შენ უფალმან **მხოლომან** (**მხოლოდ** 7) *სასოებით დამამკედრე მე* 7.7.).

გ) **καθ’ ἑκάστην** – **მარად, ყოველთვის, ყოველ (დღე)**, *ფსალმუნთა წიგნში* გამოყენებულია 5-ჯერ, ქართულში შეესაბამება **მარად, მარადის, ყოველსა** ეკვივალენტები (მაგ., 41.4 *ἐν τῇ λέγεισθαί μοι καθ’ ἑκάστην ἡμέραν ποῦ ἐστιν ὁ θεός σου]* ივინილა მეტყოდეს მე **მარადღე** (< **მარად დღე**): *სადა არს ღმერთი იგი შენი?* 7.; *რამეთუ მეტყვედ მე მარადღე* (< **მარად დღე**): *სადა არს ღმერთი იგი შენი?* 7).

κατά წინდებულის ეკვივალენტები რეცენზიათა მიხედვით იხილეთ ცხრილში № 3.

κατά წინდებულების მნიშვნელობებისა და შესატყვისების დადგენის პროცესში უფრო ზუსტად განისაზღვრა ზოგიერთი ქართული თანდებულისა თუ ბრუნვის მნიშვნელობა *ფსალმუნის ტექსტში*.

მაგალითები:

1) - ი თ ა (- ი თ) :

ა) **თანახმად, მსგავსად, შესაფერისად**: მაგ., 50.3 *ἐλέησόν με ὁ θεός κατά τὸ μέγα ἔλεός σου καὶ κατά τὸ πλήθος τῶν οἰκτιρημάτων σου ἐξάλειψον τὸ ἀνόμημά*

μου] მიწყალებე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა ავოცე უსჯულოებაი ჩემი **℣℣ℒ**.

ბ) გამო, მიზეზით: მაგ., 9.25 *κατὰ τὸ πλήθος τῆς ὀργῆς αὐτοῦ οὐκ ἐκζητήσεται*] მრავლითა გულის წყრობითა მისითა არა გამოიძის (გამოიძის ᾿) ოგი (>ℒ) **℣℣ℒ**.

გ) მოქმედების დაწყების ადგილი (= -იდან): მაგ., 67. 34 *τῷ ἐπιβεβηκότι ἐπὶ τὸν οὐρανὸν τὸν οὐρανὸν κατὰ ἀνατολάς*] რომელ-ოგი (რომელი-ოგი ᾿) ამალდა ცასა ცათასა აღმოსავალით **℣℣ℒ**.

2) - და მო / - და მი :

ა) ვინმეს წინააღმდეგ, საზიანოდ რაიმეს თქმა ან გაკეთება: მაგ., 40.8; *ἐπὶ τὸ αὐτὸ κατ’ ἔμου ἐψιθύριζον πάντες οἱ ἐχθροὶ μου κατ’ ἔμου ἐλογίζοντο κακά μοι*] ჩემთვის ცუნდრუკებდეს ყოველნი მტერნი ჩემნი და ჩემდამო (მდრ. ჩემთვის ᾿) ზრახვიდეს ბოროტსა **℣ℒ**.

ბ) ფიცის დადება ვინმეს მიმართ: მაგ., 101.9 *καὶ οἱ ἐπαινοῦντές με κατ’ ἔμου ἄμυσον*] და მაქებელნი ჩემნი ჩემდამო ფუცვიდეს **℣℣ℒ**.

3) ზ ე დ ა :

ა) ვინმეს წინააღმდეგ, საზიანოდ რაიმეს თქმა ან გაკეთება: მაგ., 40.9 *λόγον παράνομον κατέθεντο κατ’ ἔμου*] სიტყუაი უსჯულოებისაი დამდევს ჩემ ზელა **℣℣ℒ**.

ბ) თანახმად, მსგავსად, შესაფერისად: მაგ., 109.4 *σὺ εἶ ἱερεὺς εἰς τὸν αἰῶνα κατὰ τῆν τάξιν Μελχισεδεκ*] შენ ხარ მღვდელ უკუნისამდე წესსა მას ზელა მელქიზ(ს ᾿) ედევისსა **℣℣ℒ**.

4) - გ ა ნ :

ა) თანახმად, მსგავსად, შესაფერისად: მაგ., 118.132 *καὶ ἐλέησόν με κατὰ τὸ κρίμα τῶν ἀγαπώντων τὸ ὄνομά σου*] და შემოწყალებე მე სამართალთაგან (მდრ. სამართალთათვის ᾿) მოყუარეთა სახელისა შენისათა **℣ℒ**.

ბ) მოქმედების დაწყების დრო: მაგ., 118.152 *κατ’ ἀρχὰς ἔγων ἐκ τῶν μαρτυρίων σου*] დასაბამითგან ვიცნოლე მე წამებახნი შენნი **℣ℒ**; დასაბამითგან ვცან მე წამებათაგან შენთა ᾿.

გ) გამო, მიზეზით: მაგ., 93.19 *κατὰ τὸ πλήθος τῶν ὀδυνῶν μου ἐν τῇ καρδίᾳ μου*] მრავალთაგან საღმობათა გულისა ჩემისათა **ℒ**.

5) - ე ბ რ :

ა) თანახმად, მსგავსად, შესაფერისად: მაგ., 102.10 *οὐ κατὰ τὰς ἀμαρτίας ἡμῶν ἐποίησεν ἡμῖν οὐδὲ κατὰ τὰς ἀνομιὰς ἡμῶν ἀνταπέδωκεν ἡμῖν*] არა ცოდვათა ჩუენთაებრ მიცოს (მიცო ᾿) ჩუენ უფალმან (> ᾿), არცა ურჩულოებათა ჩუენთაებრ მომავოს (მომავო ᾿) ჩუენ **℣℣ℒ**.

ბ) გამო, მიზეზით: მაგ., 93.19 *κατὰ τὸ πλήθος τῶν ὀδυνῶν μου ἐν τῇ καρδίᾳ μου*] მრავალთაებრ საღმობათა ჩემთა გულსა შინა ჩემსა ᾿.

6) - თ ვ ი ს :

ა) ვინმეს წინააღმდეგ, საზიანოდ რაიმეს თქმა ან გაკეთება: მაგ., 40.8; *ἐπὶ τὸ αὐτὸ κατ’ ἔμου ἐψιθύριζον πάντες οἱ ἐχθροὶ μου κατ’ ἔμου ἐλογίζοντο κακά*

μου] **ჩემთვის** ცუნდრუკებდეს ყოველნი მტერნი ჩემნი, **ჩემთვის** ზრახვიდეს ბოროტსა ო.

ბ) **თანახმად, მსგავსად, შესაფერისად:** მაგ., 118.132 *καὶ ἔλεησόν με κατὰ τὸ κρίμα τῶν ἀγαπώντων τὸ ὄνομά σου*] და შემიწყალე მე **სამართალთათვის** მოყუარეთა სახელისა შენისათა ო.

გ) **გამო, მიზეზით:** მაგ., 93.19 *κατὰ τὸ πλήθος τῶν ὀδυνῶν μου ἐν τῇ καρδίᾳ μου*] **მრავალთათვის** საღმობათა გულისა ჩემისათა Ⴀ.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა ვთქვათ გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობის თაობაზე. ანდერძში, რომელიც *ფსალმუნთა წიგნს* ერთვის, იგი ამბობს, რომ მან *ფსალმუნნი* ახლად თარგმნა, დღევანდელი კრიტიკერიუმებით მისი ნამუშევარი ახალი თარგმანი არ არის. მისი საქმიანობა შეიძლება დავასასიათოთ, როგორც რეცენზენტისა. ახალი რეცენზიის შექმნა გულისხმობს თხზულების სწორებას რაიმე გააზრებული პრინციპის მიხედვით, როცა ამ სწორებას სისტემური ხასიათი აქვს. თანდებულთა მაგალითზე დავინახეთ, რომ გიორგი მთაწმინდელი ცდილობს, შეძლებისდაგვარად დაიცვას ეკვივალენტების სიმყარე და მუდმივობა, ზუსტად ასახოს დედნის არა მხოლოდ შინაარსობრივი, არამედ ფორმალური მხარეც.

ცხრილი № 1a. **κατὰ** წინდებულის მნიშვნელობები ბერძნულში

	gen.	Acc.
κατὰ	1. მოძრაობა ზემოდან ქვემოთ: ა) ზედაპირისაკენ ბ) სიღრმისაკენ გ) რაიმეს გავლით დ) რაიმე წერტილის მიმართულებით	1. ა) მოძრაობა ქვევით ბ) მოძრაობა ადგილიდან გ) პირისპირ, საწინააღმდეგო მხარეს დ) მოძრაობა რაიმე მიზნისკენ ან წერტილისკენ
	2. ა) ფიცის დადება ან აღთქმის მიცემა ვინმეს მიერ ბ) ფიცის დადება ვინმეს მიმართ	2. ა) მთელის დაყოფა ნაწილებად (სიტყვა სიტყვის მიყოლებით) ბ) დროის დაყოფა: დღითიდღე, ყოველდღიურად... გ) რიცხვებთან (ერთხელ, ორჯერ, მრავალჯერ...)
	3. წინააღმდეგ, პირისპირ	3. ა) განმავლობაში ბ) მიახლოებით ამ დროს
	4. მიახლოებითი დრო	4. შესაბამისად
	5. მიზეზი (-თვის)	5. ინსტრუმენტალისი ა) ღვთის წყალობით ბ) მეშვეობით

ცხრილი № 1b. **κατά** წინდებულის მონაწილეობით შექმნილი იდიომები

κατά πρόσωπον	წინაშე (ეს ფრაზეოლოგიური წინდებული ებრაიზმია, ებრაული დენიდან შესული ჯერ სეპტუაგინტაში, ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელიდან შესრულებულ სხვა თარგმანებში, მათ შორის ქართულში)
κατά μόνας	განმარტობებული, განმხოლოებული, მხოლოდ, ერთადერთი
καθ' ἑκάστην	ყოველთვის, მუდამ

ცხრილი № 2a. *ფსალმუნთა წიგნის* ქართულ რეცენზიებში დადასტურებული **κατά** წინდებულის მნიშვნელობები და ეკვივალენტები

	მნიშვნელობები	ეკვივალენტები
κατά + c. gen (16) /+ c. acc (70)	1) ვინმეს წინააღმდეგ, საზიანოდ რაიმეს თქმა ან გაკეთება (16)	ა) -თვის (C9 / P10 / L11), -დამო (/ -დამი) (C91 / L0), ზედა (C 3 / P L 2) თანდებულები; ბ) ∅ (C9 L 2); გ) ნათესაობითი ბრუნვა (C9 L 1).
	2) ფიცის დადება ვინმეს მიმართ (1)	-დამო(/-დამი) (C9 L 1) თანდებული
	3) თანახმად, მსგავსად, შესაფერისად (47)	ა) ზედა (C9 L 1); -გან (C9 1 / L 0); -თვის (C9 0 / L 1) -ებრ (C9 4 / L 24) თანდებულები; ბ) მოქმედებითი ბრუნვა (C 33 / P 34 / L 17); გ) ∅ (C9 3 / L 0); დ) მსგავს (C9 L 1) ე) რავდენ (რაოდენ) (C9 L 2); ვ) ვითარცა (C9 L 1);
	4) მოქმედების დრო(1)	∅ (C9 L 1)
	5) მოქმედების დაწყების დრო (2)	ა) -გან თანდებულიანი მოქმედებითი (C9 L 1) ბ) უთანდებულო მიცემითი (C9 L 1)
	6) დროის თანაბარი მონაკვეთები, რომლებშიც განმეორებადი მოქმედება ხდება (2)	გადმოიცემა სემანტიკურად სიტყვის რედუბლიკაციით (ასევეა ბერძნულშიც) (C9 L 2)
	7) გამო, მიზეზით (4)	ა) -თვის (C 1 / P L 0); -გან (C L 0 / P 1); -ებრ (C9 0 / L 2) თანდებულები ბ) -ითა (C9 3 / L 2);
	8) მოქმედების დაწყების ადგილი (-იდან) (1)	უთანდებულო მოქმედებითი (C9 L 1)

ცხრილი № 2b. ფსალმუნთა წიგნის ქართულ რეცენზიებში დადასტურებული **κατά** წინდებულის მონაწილეობით შექმნილი იდიომების მნიშვნელობები და ეკვივალენტები

κατά + c. gen (16) / + c. acc (70)	მყარი შესიტყვებები	
	მნიშვნელობები	ეკვივალენტები
	ა) κατά πρόσωπον (4) – წინ, წინაშე	წინაშე (C 4 / L 1) წინაშე პირსა (L 3)
	ბ) κατά μέρος (3) – 1. განმარტოებული 2. მხოლოდ, ერთადერთი 3. ერთად	მხოლოდ (შესაბამის ბრუნვებში) (C 4 L 3)
	გ) καθ' ἐκάστην – მარად, ყოველთვის (5)	„მარად“ (C 3 / 4 L 4), „მარადის“ (C 1 / 4 L 0), „ყოველსა“ (C 4 L 1)

ცხრილი № 3a. **κατά** წინდებულის მონაწილეობით შექმნილ იდიომათა ეკვივალენტების სტატისტიკური ცხრილი რეცენზიათა მიხედვით

LXX	ქართ. ეკვ.	С	Գ	Լ	სულ
მნიშვნელობები	წინაშე				
κατά πρόσωπον	წინაშე	4	4	1	4
	წინაშე პირსა	0	0	3	
მნიშვნელობები	განმარტოებული, მხოლოდ, ერთადერთი				
κατά μέρος	მხოლოდ	3	3	3	3
მნიშვნელობები	ყოველთვის, მუდამ				
καθ' ἐκάστην	მარად	3	4	4	5
	მარადის	1	0	0	
	ყოველსა	1	1	1	

ცხრილი № 3b. **κατά** წინდებულის ეკვივალენტთა
სტატისტიკური ცხრილი რეცენზიათა მიხედვით

LXX	ქართ. ეკვ.	┌	┐	┘	სულ
მნიშვნელობები	ვინმეს წინააღმდეგ, საზიანოდ რაიმეს თქმა ან გაკეთება				
κατά	-თუც	9	10	11	16
	-დამო/-დამი	1	1	0	
	უთანდ. ნათ.	1	1	1	
	ზედა	3	2	2	
	∅	2	2	2	
მნიშვნელობები	ფიცის დადება ვინმეს მიმართ				
κατά	-დამო/-დამი	1	1	1	1
მნიშვნელობები	თანახმად, მსგავსად, შესაფერისად				
κατά	ზედა	1	1	1	47
	-გან (ნათ.-თან)	1	1	0	
	-თუც	0	0	1	
	-ებრ	4	4	24	
	-ითა	33	34	17	
	მსგავს	1	1	1	
	∅	3	3	0	
	რავდენ (რაოდენ)	2	2	2	
	ვითარცა	1	1	1	
მნიშვნელობები	მოქმედების დრო				
κατά	∅	1	1	1	1
მნიშვნელობები	მოქმედების დაწყების დრო				
κατά	-ით-გან	1	1	1	2
	∅	1	1	1	
მნიშვნელობები	დროის თანაბარ მონაკვეთები, რომლებშიც განმეორებადი მოქმედება ხდება				
κατά	დღითი-დღე[დ]	1	1	1	2
	ღამედ-ღამედ	0	0	1	
	ღამე	1	1	0	
მნიშვნელობები	გამო, მიზეზით				
κατά	-თუც	1	0	0	4
	-გან	0	1	0	
	-ებრ	0	0	2	
	-ით	3	3	2	
მნიშვნელობები	მოქმედების დაწყების ადგილი (-იდან)				
κατά	-ით	1	1	1	1

ლიტერატურა

- ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი, 1973.
- ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თსუ. თბილისი, 1957.
- ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში: იკე I, თბილისი, 1946.
- ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, „განათლება“, თბილისი, 1984.
- მ. შანიძე, ქართული ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X – XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, I, ტექსტი. ძველი ქართული ენის ძეგლები, 11, თბილისი, 1960.
- უ. ცინდელიანი, ახალი მასალები გიორგი მთაწმინდელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, IV, თბილისი, 1978.
- ცინდელიანი 1967:** უ. ცინდელიანი, *κατά* წინდებულის ეკვივალენტები მეფეთა წიგნების ქართულ თარგმანებში, „მრავალთავი“, IV, თბილისი.
- Johannessohn M.**, Der Gebrauch der Prapositionen in der Septuaginta, 1925.
- Lampe G.W.H.**, A Patristic Greek Lexicon, Oxford 1961.
- Liddell H.G.**, and **Scott R.**, Greek-English Lexicon, Oxford 1996.
- Rahfs A.**, Septuaginta, Vetus Testamentum Graecorum, Auctoritate Academiae Scientiarum Gottingensis editum, X, Psami cum Odis, Ed..

Natia Mirotadze

The Equivalents of the Preposition *kata*, in the Old Georgian Recensions of the Psalms

Summary

The article analyses the equivalents of the preposition *κατά* and their meanings in Georgian recensions of the Psalms. Also some stylistic peculiarities of transfer of this preposition into Georgian and the issues related to the technique of translation.